

თერჯოლის მუნიციპალიტეტის აღისუბნის თემის
მაჟორიტარი დეპუტატის და ჯანდაცვისა და
სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის
ბადრი ბუცხრიკიძის

ა ნ გ ა რ ი შ ი

მოგახსენებთ, რომ ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია ყოველდღიურად ჩართულია თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის ჯანმრთელობის და სოციალური პრობლემების შესწავლაში და ამ პრობლემების კანონიერი გზით მოგვარებაში, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ უკიდურესად გაჭირვებულ და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია შედგება თორმეტი კომისიის წევრისაგან, აღნიშნულმა კომისიამ ჩაატარა სამი კომისიის სხდომა.

1. კომისიის სხდომა გაიმართა 2017 წლის 7 დეკემბერს.

სხდომას ესწრებოდა 11 - კომისიის წევრი;

საკითხები:

1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ;
2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ სოციალურ პროგრამებში (დიალექტი) ცვლილებების შეტანის თაობაზე;

2. კომისიის სხდომა გაიმართა 2018 წლის 17 იანვარს.

სხდომას ესწრებოდა 8 - კომისიის წევრი.

საკითხები:

1. საკრებულოს სხდომისთვის მომზადდა და განიხილა დასამტკიცებლად ათი სოციალური პროგრამა.

3. კომისიის სხდომა გაიმართა 2018 წლის 2 მაისს.
სხდომას ესწრებოდა 8- კომისიის წევრი.

საკითხები:

1. სახლდაზიანებულ პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებს მიეცემათ დახმარება არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარის ოდენობით;
2. ხანძრის ან სტიქიური მოვლენების შემთხვევაში კომისიის დასკვნის საფუძველზე პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებს მიეცემათ ფინანსური დახმარება არაუმეტეს 5000 (ხუთიათასი) ლარის ოდენობით.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის და ამავე კომისიის წევრთა ინიციატივით მოხდა სამ სოციალურ პროგრამაში ცვლილების შეტანა. კერძოდ, საკვები პროდუქტების პროგრამა, რომლის ბიუჯეტი 2018 წლამდე იყო 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით, უფრო პრიორიტეტულად მივიჩნიეთ და აღნიშნულ პროგრამაში დაეტოვეთ 20 000 (ოცი ათასი) ლარი, ხოლო დარჩარჩები თანხა გადავიტანეთ თანადაფინანსების პროგრამაში, რომლის ბიუჯეტი გახდა 230 000 (ორასოცდაათი ათასი) ლარი, ასევე თანხა გადავიტანეთ დიალექტის პროგრამაში, სადაც ყოველთვიური ბენეფიციარზე გასაცემი თანხა გავზარდეთ 100 ლარიდან 150 ლარამდე.

ასევე მინდა ავღნიშნო, რომ ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა თითქმის უმრავლესობა ჩართულები ვართ, მერის ბრძანებით შექმნილ, სამუშაო ჯგუფში, რომელიც იხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობიდან შემოსულ სოციალურ საკითხებზე განცხადებებს. ესენი გახლავთ განცხადებები ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე და ასევე განცხადებები საკვები პროდუქტებით დახმარებაზე.

2018 წელს დღემდე მერიაში შემოვიდა ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე 722 განცხადება, აქედან დაკმაყოფილდა 616 ბენეფიციარი. თანხა გაცემულია 84750 ლარი.

სამუშაო ჯგუფის მიერ ადგილზე გადამოწმების და ასევე არასრულყოფილად შემოტანილი დოკუმენტების გამო უარი ეთქვა 116 ბენეფიციარს. საკვები პროდუქტებით დახმარებაზე მერიაში შემოვიდა 132 განცხადება. დაკმაყოფილდა 115 ბენეფიციარი. თანხაში აისახება 5180 ლარი. უარი ეთქვა 17 ბენეფიციარს.

როგორც სოფ. აღისუბნის მაჟორიტარი დეპუტატი აქტიურად ვარ ჩართული აღისუბანთან დაკავშირებულ ყველა საკითხში. კერძოდ, აქტიურად ვმონაწილეობდი, რომ მერიას საკუთრებაში ქონდეს სოფ. აღისუბნის ხრემის კარიერი. აღნიშნული საკითხი თითქმის მიყვანილია ბოლომდე, ამ საკითხთან დაკავშირებით შევხვდი სოფლის მოსახლეობას, რაზედაც მოსახლეობამ დიდი კმაყოფილება გამოხატა.

საარჩევნოდ ერთ-ერთი, კერძოდ რობაქიძეების უბნის მოთხოვნა იყო, რომ საპენსიო მანქანა, თვეში ერთხელ რამოდენიმე საათით, შემოსულიყო მათი უბნის ცენტრში და იქ აედოთ პენსია. ასევე ჩაერიცხათ კომუნალური გადასახადები. ეს თხოვნა შევუსრულე მოსახლეობას ლიბერთი ბანკის მენეჯერის დახმარებით.

ამავე უბნის მაცხოვრებლების თხოვნა იყო და არის უბნის ცენტრში აშენდეს მოსაცდელი. ამ საკითხში ჩავერთე აქტიურად და დღეის ვითარებით ჩასხმულია ეგრედ წოდებული საძირკველი. წერილი სამშენებლო მასალების მოთხოვნაზე გადმოგზავნილია მერიაში. მოსახლეობა ელოდება მშენებლობის დაწყებას.

მოგახსენებთ, რომ ალისუბნის ცენტრში არსებობს ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი. ჩემი ინიციატივით მომზადდა წერილი და გადმოიგზავნა მერიაში, რათა მოხდეს აღნიშნული მემორიალის რეაბილიტაცია და ეს ადგილი შეიქმნეს ახალგაზრდობის შეკრების სკვერად, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად.

ჩემი აქტიური მონაწილეობით და კომუნალური სამსახურის ძალისხმევით მოხდა მიწების რეაბილიტაცია და ცენტრალურ მაგისტრალზე დაერთება, რის შედეგადაც ბოქორიშვილების უბანში გადავიყვანეთ წყალი, რაც წლების მანძილზე არ ქონდა აღნიშნულ უბანს.

ალისუბანს აქვს ორი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ხიდების პრობლემა, ესენია ზედა და ქვედა ალისუბნის დამაკავშირებელი ხიდი და ალისუბანი-სკანდის დამაკავშირებელი ხიდი. აღნიშნული ხიდები შესწავლილია და დასურათებულია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერთან ერთად შევხვდით მოსახლეობას, მერი დაპირდა მათ, რომ უახლოეს პერიოდში დაიწყება ორივე ხიდის რეაბილიტაცია.

სოციალური პროგრამებით დახმარება გავუწიე ალისუბანში რეგისტრირებულ უკიდურესად გაჭირვებულ მოსახლეობას, კერძოდ: თანადაფინანსებით დავეხმარე 29 ბენეფიციარს (თანხა 8253 ლარი), ერთჯერადი ფინანსური დახმარებით დავეხმარე 31 ოჯახს (თანხა 4750 ლარი), მედიკამენტებით დავეხმარე 7 ბენეფიციარს (თანხა 640 ლარი), სურსათით დავეხმარე 2 ოჯახს (თანხა 100 ლარი).

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ალისუბნის თემის
მაჟორიტარი დეპუტატი და ჯანდაცვისა და

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ზადრი ბუცხრივიძე

